# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N 115/ვ

მცხეთა 24 აგვისტო 2018 წელი

ერთის მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია, შემდგომში „შემსყიდველი", წარმოგენილი მუნიციპალიტეტის მერის გიორგი კაპანაძის სახით და მეორეს მხრივ, ინდ. მეწარმე ბადრი სოლოღაშვილის სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე;

1. ხელშეკრულების საგანი

1. ქ. მცხეთაში სპორტული გამაჯანსაღებელი კომპლექსის შენობისთვის გამწოვი ვენტილატორის შესყიდვა თანმდები მომსახურებით. CPV39714110;

საქონლის მიწოდების ვადა და ღირებულება

2.1 საქონლის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2018 წლის 03 სექტემბრის ჩათვლით.

2.3 ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა - 1955.00 (ერთი ათას ცხრაას ორმოცდათხუთმეტი) ლარი.

3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის და ანგარიშფაქტურის საფუძველზე.

4 მხარეთა უფლება – მოვალეობები

4.1 „მომწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას:

4.2 გაუწიოს მომსახურება ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში, შესაბამისი ხარისხით.

4.3 „შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას:

4.4 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა გაწეული მმსახურების მიხედვით მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღეში.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ „მომწოდებელი" არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი" წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს" უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.

5.3 შესყიდვის არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველი" უფლებამოსილია „მომწოდებელს" არ აუნაზღაუროს მისაწოდებელი საქონლის ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო მისაწოდებელი საქონლის ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5.4 იმ შემთხვევაში, თუ ხელშკრულების 5.3 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობა მიაღწევს მთლიანი სახელშეკრულებლო ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

7.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ფორს – მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებით

როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

## 9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

9.2 თუ „მიმწოდებელი" და „შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 10. სხვა პირობები

10.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

10.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.

10.3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

## 11 ხელშეკრულების პირობების კონტროლი

11.1 ხელშეკრულების პირობების კონტროლს და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერას განახორციელებს მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობისა და ინფრასტრუქტურული პროექტების ზედამხედველობის განყოფილების სპეციალისტი ედუარდ ჯალაღონია.

## 12.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

## 13. მხარეთა რეკვიზიტები

**შემსყიდველი**

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია
მის: ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ.7
სახელმწიფო ხაზინა
ხაზინის კოდი: TRESGE22
ა/ნ GE24NB 0330 1002 0016 5022
ს/კ 236099789
ტელ: 2512696

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერი
გიორგი კაპანაძე

GEORGIA. CITY HALL OF MTSKHETA MUNICIPALITY
236099789

**მიმწოდებელი**

ინდ. მეწარმე ბადრი სოლოღაშვილი
მის: ქ. მცხეთა სოფელი ძეგვი
სს საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი: BAGA22
ა/ნ GE46BG0000000230384100
ს/კ 31001028258
ტელ: 593345227

ელ-ფოსტა sologashvili11@mail.ru

ინდ. მეწარმე ბადრი სოლოღაშვილი

I/E "BADRI SOLOGHASHVILI"
31001028258

მცხეთა 24 აგვისტო 2018 წელი

## ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ვადასტურებ, აღნიშნულ შესყიდვაში ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის I თავის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ პირობებს. (ინდ. მეწარმე ბადრი სოლოღაშვილი; ს/კ 31001028258; ხელშეკრულება N115/გ).

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერი გიორგი კაპანაძე

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია GEORGIA. CITY HALL OF MTSKHETA MUNICIPALITY 236099789